

**საკრედიტო ხელშეკრულება N -----ის თავსართი
საკრედიტო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**

[იპოთეკური სესხი] საკრედიტო ხელშეკრულება N----- ----- 202_ წ.

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = _____%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = _____%

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანი (ძირი+პროცენტი): _____
- ვადის ბოლო შენატანი = _____
- საკომისიო კრედიტის გაცემისთვის: _____

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = _____ ლარი
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = _____ ლარი
- კრედიტის ვადა = _____
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = _____
- პირგასამტეხლო მიზნობრიობის შეუსრულებლობისთვის: _____ (არა უმეტეს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობისა)
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.
- პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის = ვადაგადაცილებული თანხის _____% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის _____%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას (არაუმეტეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობისა).
- მომხმარებელს (მსესხებელს) უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ორგანიზაციის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

ერთი მხრივ, **სს მისო „ინტელექსპრესი“** (რეგის. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ., N 89/24, ს/ნ: **202353176**, სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 249 25 25, საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი: საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2) (შემდგომში “ორგანიზაცია”/“კომპანია”), წარმოდგენილი მინდობილი პირის ----- სახით და მეორეს მხრივ, _____ (პ/ნ: _____; მისამართი: _____) (შემდგომში “კლიენტი”/“მსესხებელი”); მხარეთა შორის დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულება # _____-ის (დადების თარიღი: _____) (შემდგომში “ძირითადი ხელშეკრულების”) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
- 1.2 კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

2. კრედიტის ძირითადი პირობები

- 2.1 ძირითადი ხელშეკრულება: საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულება # _____ (დადების თარიღი: _____)
- 2.2 კლიენტ(ებ)ი _____ (პ/ნ: _____)
- 2.3 კრედიტის თანხა: _____ ლარი
- 2.4. მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: _____ ლარი

- 2.5. კრედიტის ვადა: _____
- 2.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: _____
- 2.7 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- 2.8 საპროცენტო განაკვეთი: წლიური _____)%
 თვიური _____%
- 2.9 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: _____%
- 2.10 კრედიტის მიზნობრიობა: _____
- 2.11 კრედიტის დაფარვის გრაფიკი: თანდართული გრაფიკის მიხედვით
- 2.12 ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის: დავალიანების _____% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის , არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის _____%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას (არაუმეტეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობისა).
- 2.13 საკომისიო ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის: წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.

- 2.14 საკომისიო კრედიტის გაცემისთვის: _____
- 2.15 კრედიტის ტიპი: იპოთეკური სესხი
- 2.16. უზრუნველყოფის საშუალება: იპოთეკა
- 2.17. განსაკუთრებული პირობა: _____

3. ფინანსური ხარჯები

- 3.1. ყოველთვიური შენატანი (ძირი + პროცენტი): _____ ლარი
- 3.2. ვადის ბოლო შენატანი = _____ ლარი
- 3.3. საკომისიო კრედიტის გაცემისთვის: _____
- 3.4. საკომისიო კრედიტის წინსწრებით დაფარვისთვის: წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.

4. კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის პირობები

- 4.1. გასატანი თანხის ოდენობა: -----
- 4.2. პერიოდულობა/გატანის თარიღები: ___ ტრანში - _____ ლარი, გატანის თარიღი: _____, კრედიტის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფრომით.
- 4.3. გატანების საერთო რაოდენობა: ___ ტრანშად.

5. შენატანები

(კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა, სიხშირე/შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და საერთო რაოდენობა)

- 5.1. შენატანის ოდენობა: ყოველთვიური - _____ ლარი (შენატანის ჯამური თანხა: _____ ლარი)
- 5.2. შენატანების სიხშირე/მაქსიმალური ვადები: ყოველთვიურად/თანდართული გრაფიკის მიხედვით
- 5.3. შენატანების საერთო რაოდენობა: ჯამში _____ შენატანი

6. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

ორგანიზაციას უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ხელშეკრულების/შეთანხმების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაუყოვნებლივ ან ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:

- კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერ დამატებითი ხელშეკრულებით/შეთანხმებით/დანართით ან ორგანიზაციასთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;
- კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის/შეთანხმებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას;
- არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და ორგანიზაციის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;
- კლიენტი იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს რომელიმე დამატებითი ხელშეკრულების/შეთანხმების საფუძველზე მიღებულ საკრედიტო პროდუქტს (დაარღვევს მიზნობრიობას);
- მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის აქტივები;
- განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება კლიენტის საკუთრებაში ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- კლიენტის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი (ოცი პროცენტი ან მეტი) გასხვისდება ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების ნებისმიერი მხარის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;
- ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების/შეთანხმების რომელიმე პირობას;
- განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შეუმცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც ორგანიზაციას არ ეკისრება პასუხისმგებლობა;
- კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;
- კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;
- რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

- ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;
- კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და ორგანიზაციისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);
- კლიენტი ჩაიდენს ორგანიზაციის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;
- დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ორგანიზაცია მსესხებელს აცნობებს წინამდებარე ხელშეკრულების 8.6 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ფორმით.

7. პრეტენზიების წარდგენა

7.1. მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ორგანიზაციის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

7.2. ორგანიზაციის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელს უფლება აქვს ორგანიზაციას მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ხოლო ელექტრონული ფორმა ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: www.intellexpress.net). მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი/ელექტრონული პრეტენზიის ორგანიზაციის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს ორგანიზაციის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მსესხებელს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: www.intellexpress.net და ტელეფონის ნომერზე: 2492525.

8. სხვა პირობები

- 8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.
- 8.2. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.
- 8.3. ეს ხელშეკრულება იმავდროულად არის კლიენტის განცხადება საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ.
- 8.4. სს მისო ინტელექსპრესი (მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 89/24) შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის

გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მსესხებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე კლიენტის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს

- 8.5. კლიენტის განცხადება: თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მისო „ინტელექსპრესმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები
- 8.6. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის შეტყობინება ან/და სხვა სახის ოფიციალური კომუნიკაცია წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, განხორციელებულად ჩაითვლება ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში: ა) თუ იგი გაგზავნილია დაზღვეული წერილით ან კურიერის მეშვეობით ამ ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ მისამართზე (მიუხედავად იმისა, თუ მითითებულ მისამართზე ვინ ჩაიბარებს წერილს) და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით (თუ მეორე მხარე წინასწარ არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ), ან ორგანიზაციის მიერ ჩაბარებულია ხელზე უშუალოდ მსესხებლისთვის. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს არიდებს მის მიღებას, ან შეუძლებელი იქნება შეტყობინების გადაცემა ადრესატის ადგილზე არყოფნის გამო. ბ) თუ მხარეს შეტყობინება გაეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელ-ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და, შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელ-ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება. კლიენტი იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ელ-ფოსტის მისამართზე განთავსებულ კორესპოდენციას გაეცნოს არანაკლებ თვეში ერთხელ.
- 8.7. მსესხებლის ან მესამე პირის მიერ წინსწრებით კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის გადახდით მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად.

- 8.8. ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის მიერ გადახდილი თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მსესხებელი გადახდის დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მსესხებელი არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ ვალდებულებათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის ვალდებულება, რომელიც თანხობრივად ყველაზე მეტია. თუ ვალდებულებები თანაბარი ოდენობისაა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.
- 8.9. მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების შემთხვევაში ორგანიზაცია ზემოაღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში მსესხებელს შეატყობინებს წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის საკონტაქტო ნომერზე. ორგანიზაცია არ აგებს პასუხს ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მსესხებლის ბრალეულობით და/ან მსესხებელმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ორგანიზაციისათვის.
- 8.10. ორგანიზაცია უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ორგანიზაციასთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით/შეთანხმებით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას ან/და ორგანიზაცია ჩათვლის, რომ შესაძლოა კლიენტმა ვერ უზრუნველყოს რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შესრულება.
- 8.11. მსესხებელი გაფრთხილებულია და ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ით/შეთანხმებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მისი მიმდინარე ანგარიშების დაყადაღება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების კრედიტის (სესხის) დასაფარად რეალიზაცია ან/და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ით/შეთანხმებ(ებ)ით/კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.
- 8.12. მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან, და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან, ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შპს ფინანსური დავების არბიტრაჟი (ს/კ 405171353) (შემდგომში „არბიტრაჟი“). აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს საკუთარი დებულებით დადგენილი წესით. ამასთან გამოიყენება არბიტრაჟის დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საქმეს განიხილავს არბიტრაჟი ერთი არბიტრის შემადგენლობით, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს თბილისი, საქართველო. საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე.
- 8.13. მსესხებელი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაცია უფლებამოსილია იპოთეკის საგნის მესაკუთრისა და თავდებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და ამ ხელშეკრულების თავსართი, ასევე, ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი. მსესხებელი ორგანიზაციას უფლებამოსილებას ანიჭებს მსესხებლის შესახებ

ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის დეტალური ინფორმაცია სესხის დაფარვის შესახებ) გაუმჟღავნოს თავდებს/იპოთეკის საგნის მესაკუთრეს.

8.14. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება ორგანიზაციას, ერთი გადაეცემა კლიენტს.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ინტელექსპრესში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო „ინტელექსპრესი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

ორგანიზაცია/კომპანია
სს მისო „ინტელექსპრესი“

კლიენტი/მსესხებელი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202353176
მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24
ტელეფონის ნომერი: +99532 2492525

პირადი ნომერი: -----
მისამართი: -----
ტელეფონის ნომერი: -----
ელ-ფოსტა:-----
